

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N40

ქ.თბილისი

24 მაისი, 2024 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	ლილე ლიპარტელიანი
აკაკი ალადაშვილი	ნათია მოდებაძე
ლევან არველაძე	ირაკლი ნადირაძე
ვლადიმერ ბოჭაძე	შალვა ოგბაიძე
არჩილ გორდულაძე	გურამ ოქროპირიძე
ოთარ გრიგოლია	ნინო რუხაძე
ლევან დავითაშვილი	რევაზ სოხაძე
ნინო ვარდოსანიძე	ზურაბ ჩიკვილაძე
კონსტანტინე ზარნაძე	გივი ჩხარტიშვილი
მარიამ ზაქარიაშვილი	ავთანდილ ცინცაძე
ანა კაკაბაძე	ირაკლი ხელაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ანა კილაძე	ლევან ჯაფარიძე
კახაბერ ლაბუჩიძე	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ნინო ბაგაშვილი, დავით ჯაიანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალამემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა „ქართული ოცნების“ წევრებს: „როგორც წინა სხდომაზე გითხარით, „რუსული კანონის“ შემოქმედების და ასევე, მხარდამჭერებისთვის გამიჭირდება გამარჯობის თქმა. გამარჯვებას მოიცავს ეს სიტყვა და ვერ გისურვებთ ნამდვილად გამარჯვებას ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას აყენებთ კითხვის ნიშნის ქვეშ, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას აყენებთ კითხვის ნიშნის ქვეშ და შეგიძლიათ ჩვენს არასრულწლოვან შვილებს, ჩვენს მოხუც მშობლებს დაურეკოთ, მორალური ტერორის ქვეშ ამყოფოთ და ამის შემდგომ, ოჯახის პატივისცემის და მშობლების პატივისცემის მარშზე დგებით. ფარისევლობაა ეს ყველაფერი, სად არის ამ დროს თქვენი მორალი?.. სირცხვილია უბრალოდ ის, რასაც აკეთებთ... ფსკერის ფსკერია ის, რასაც თქვენ კადრულობთ, „ცოცხლად ჯოჯოხეთში ცხოვრება“ არის ის, რასაც თქვენ კადრულობთ და სირცხვილია უბრალოდ ეს ყველაფერი“. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ გამოცხადებულ ბოიკოტზე და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული რუსული კანონი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან - „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა, ევროპის კავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. რუსული კანონი მიზნად ისახავს მოსახლეობის გახლეჩას, ქვეყნის ევროპული პერსპექტივის დასამარებას და სიტყვის თავისუფლების გაუქმებას. მმართველი პარტია მიზანმიმართულად ეწევა საქართველოს დასავლური კურსის საბოტაჟს და უკიდურესად აზიანებს ქვეყნის საერთაშორისო სტატუსს. ივანიშვილის რეჟიმმა წლების განმავლობაში ნაწარმოები სიძულვილის კამპანია ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაზარდა, ამჯერად, არამართო პოლიტიკური ოპონენტების, არამედ, სამოქალაქო აქტივისტების და ნებისმიერი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის მიმართ, რომელთაც ლაჩრულად, ჯგუფურად უსწორდება. უფრო მეტიც, მორალური ტერორის ქვეშ ამყოფებს ჩვენს არასრულწლოვან შვილებს და მოხუც მშობლებს. ასევე, მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეების მიმართ, სანქცირებული მოსამართლეების მიერ მართული სასამართლოსა და საგამომიებო ორგანოების გამოყენებით, აწარმოებს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სადამსჯელო ღონისძიებებს. რუსული რეჟიმი შეუძლებელს ხდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, ბოიკოტს უცხადებს და აღარ დაესწრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების 2024 წლის სხდომებს. ფრაქცია აგრძელებს მუშაობას მუნიციპალიტეტის ინტერესების დასაცავად და ბოლომდე იბრძობებს, რომ მოსახლეობა ინფორმირებული იყოს თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვაზე და გვერდით დაუდგება ყველა მოქალაქეს, რომელიც თანადგომას საჭიროებს დღეს დედაქალაქში. კარგად ბრძანდებოდეთ, გააგრძელეთ „რუსული კანონების“ მიღება... მიიღებთ იმ შედეგებს, რასაც იმსახურებთ ქვეყნის ღალატისთვის“. ლილე ლიპარტელიანის გამოსვლის შემდეგ, მან და ირაკლი ნადირაძემ დატოვეს საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა: „ჩვენ ახლა ვიხილეთ იმ ადამიანების განცხადებები, რომლებსაც არც მორალური, არც ეთიკური უფლება არ აქვთ საუბრობდნენ სიკეთეზე, საუბრობდნენ რამე კარგზე, რაც ამ ქვეყნისთვის გაუკეთებიათ. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვაპირებთ არავისთვის პასუხის გაცემას. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ის სიკეთე, რომელსაც მოიტანს ის პროცესები,

რომელიც ახლა მიმდინარეობს და პირდაპირ ვთქვათ, რომ ის ზომები, რომელიც იქნა და აპირებენ რომ მიიღონ საქართველოს წინააღმდეგ, არის აბსოლუტურად არაპროპორციული და ეს ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ეს არის ძალიან დიდი ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა მან არ განახორციელოს თავისი, კონსტიტუციით მინიჭებული, უფლება - აწარმოოს პოლიტიკა. ქართველ ხალხს აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი ინტერესებიდან გამომდინარე და ქართველ ხალხს უფლება აქვს, იცხოვროს მშვიდობაში და კეთილდღეობაში. გამომდინარე აქედან, ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს ხელისუფლებას და ბუნებრივია, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: „ჩვენ ვართ ერთგული ევროპული ღირებულებების“ და სწორედ ევროპული ღირებულებები და ევროპული გეზი გვაიძულებს ვიყოთ უფრო გამჭვირვალეები და უფრო ღიები იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს“.

ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა კოლეგების მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს და განაცხადა: „საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საკრებულოს საქმიანობას ბოიკოტი გამოუცხადა იმ პარტიამ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% ჩააბარა პირდაპირ რუსეთს, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტები მიყიდა რუსებს და უამრავი რუსული საქმე აკეთა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში - აი, ეს არის მათი რეალური და ნამდვილი სახე“. ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე და განაცხადა, რომ „ბოლო დღეებია ვუყურებთ ყველა მხრიდან მასირებულ შეტევას საქართველოს ხელისუფლებაზე და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტზე, ვუყურებთ „სიგიჟეს, რომელმაც უკვე ისტერიული ხასიათი მიიღო“. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ ამ ორკესტრირებული თავდასხმების მიზანი არის ერთადერთი - უარი გვათქმევინონ ეროვნულ უსაფრთხოებაზე, დაგვათმობინონ ჩვენი ხელისუფლების ყველაზე ღირებული მონაპოვარი - მშვიდობა და ქვეყანა დაგვაყენებინონ კატასტროფის წინაშე. ჩვენ გუშინ ვიხილეთ და ვნახეთ პრემიერმინისტრის მისამართით განხორციელებული მუქარა ევროკომისრის მხრიდან, რომელიც სცდება ყველანაირ პარტნიორულ ურთიერთობას და იძენს ძალიან მძიმე და საშიშ ხასიათს. მიუხედავად ამხელა ზეწოლისა, მიუხედავად გაუგონარი მეთოდებით ბრძოლისა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ აპირებს უკან დახევას. ყველამ კეთილი ინებოს და პატივი სცეს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას და კულტურას, პატივი სცეს ქართველ ხალხს, ქართველი ხალხის ურყევ ნებას, რომ ღირსებით და თავაწეული გაწევრიანდეს ევროპულ დიდ ოჯახში. ერთხელ და სამუდამოდ, დაიმახსოვრეთ ყველამ კარგად - საქართველო და ქართული საზოგადოება არაფრის ფასად არ იყიდება. ქართველი ხალხი ყოველთვის დაიცავს სამ ძირითად, უმთავრეს პრინციპს, რის ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ყველაფერი - მამულს, ენას და სარწმუნოებას. საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა: „მინდა გამოეხმაურო იმ დიდი დოზის აგრესიას, ბულინგს და შეურაცხყოფებს, რაც გამოვლინდა ბოლო დროს. პირველ რიგში, სამწუხარო და მიუღებელია ნებისმიერი ძალადობა, ნებისმიერი მხრიდან, ნებისმიერი მიმართულებით და კიდევ უფრო სამწუხაროა, როდესაც ვხედავთ ძალადობის წახალისებას, რაც რეალურად პროვოცირებას უკეთებს და „მწვანე შუქს უნთებს“ მომდევნო ძალადობას“. მისი თქმით, გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, მუქარამ და შანტაჟმა იმდენად ფართომასშტაბიანი სახე მიიღო, რომ მსგავსი შინაარსით საუბრის წარმოდგენაც კი რთულია და სამწუხაროა, რომ ეს მეთოდები გამოიყენება ორმხრივ ურთიერთობებში. ისაუბრა შესაძლო სანქციებზე და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, არ გვახსოვს ხალხის ნების გათვალისწინება მაშინ, როდესაც საქართველოში ძირი ეთხრებოდა დემოკრატიას, ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ყალბდებოდა არჩევნები, არ არსებობდა მიუკერძოებელი და ობიექტური მედია საშუალებები. საუბრის ბოლოს, ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში იქნება მშვიდობა, გაგრძელდება ქვეყნის განვითარება, მისი დემოკრატიის და სუვერენიტეტის დაცვით“.

ნათია მოდებაძე გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და განაცხადა: „პრემიერს ევროკომისიის პირდაპირ ემუქრებოდა ლიკვიდაციით და ვფიქრობ, რომ ეს არ ჯდება არცერთ ფორმატში - არც დიპლომატიის, არც პოლიტიკის, მით უმეტეს

მეგობრობის, ეს არის პიდაპირ შანტაჟი, ეს არის კრიმინალი და ამ ადამიანის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ვფიქრობ, ასეთი პირი „პერსონა ნონ გრატად“ უნდა გამოცხადდეს მინიმუმ ჩვენს ქვეყანაში“. ისაუბრა გამჭირვალობის შესახებ კანონზე და განაცხადა, რომ პრობლემა არ არის კანონის შინაარსთან და მის მოწინააღმდეგეებს პრობლემას უქმნის ფინანსების გამჭირვალობა, ხოლო სხვა დანარჩენი არის მიზეზი არეულობის დასაორგანიზებლად. ბოლო დროს, განსაკუთრებულად გააუქტიურდა პროცესები, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პირდაპირ ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში და მასზე გავლენასაც ახდენენ, რაც ძალიან კარგია დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროცესში, თუმცა, მათი ჩართულობისას, მიზნებისა და ფინანსური წყაროს დადგენა სასიცოცხლოდ მნიშველოვანია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ევროკავშირის მიერ ცხრა რეკომენდაციიდან ერთ-ერთი არის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უფლების მოთხოვნა ყველა დონეზე. მისთვის გაუგებარია, რატომ არის ვინმესთვის საშიში და რატომ არ შეიძლება, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომელიც ანგარიშვალდებულია ქვეყანაში მშვიდობასა და სტაბილურობაზე, ფლობდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ დგას პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მქონე პირების უკან. მისი თქმით, გასაგებია ის, რომ რაც მისაღებია მთელი მსოფლიოსთვის, მიუღებელია ჩვენთვის, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია იმ ტონით საუბარი, რა ტონითაც ჩვენ, „ევროკავშირის წევრობის განხილვის ქვეშ მყოფ ქვეყანას“ გვესაუბრებიან და ემუქრებიან ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს თავისი ფუნქციის განხორციელებას - დაიცვას ამ ქვეყანაში მშვიდობა და მისი სუვერენიტეტი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „საზოგადოება კარგად აკვირდება და ხედავს, ვინ დგას ყველა იმ პროცესის უკან, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ჩვენზე ძალადობით გამოიხატება და აკვირდება იმ პროცესებს, რაც ქუჩაში იმართება. იმასაც ალბათ კარგად ხედავენ, ვინ დგას ბავშვების ზურგს ამოფარებული, ახალგაზრდებისა და ბავშვების სახელით რომ გვიმართავენ მანიფესტაციებს და დროა, შესაძლებელია დაგვიანებულიც, რომ ყველა პროცესი ამ ქვეყანაში გახდეს გამჭირვალე“.

არჩილ გორდულაძემ განაცხადა, რომ ბოლო სამი დღის განმავლობაში სრულად გაშიშვლდა ჩვენი ქვეყნის გარშემო მიმდინარე პროცესები - გუშინ, ევროკავშირის წევრმა საფრანგეთმა მიიღო კანონი უცხოური ჩარევის პრევენციის შესახებ, რომელიც ქართული კანონის გაცილებით უფრო მკაცრი ვერსიაა, ამავე კანონზე საუბრობს ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთიც, მსგავსი კანონები მიღებულია სხვადასხვა ქვეყნებში და მხოლოდ საქართველოში აღმოჩნდა დემოკრატიისთვის შეუსაბამო. იქამდეც კი მივდივით, რომ ვენეციის კომისიისგან, რომელმაც უნდა გასცეს სამართლებრივი შენიშვნები, მოვისმინეთ, რომ თურმე ფინანსების გამჭირვალობა ევროსტანდარტებთან შეუსაბამოა მაშინ, როდესაც, ისევე, როგორც სასამართლოს, ცალსახად აქვს განმარტებული: „არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი მიზნებიდან და მათ ხელთ არსებული სახსრებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საჯარო დებატებზე შესაძლოა მნიშველოვან გავლენას ახდენდნენ. შესაბამისად, ამ ორგანიზაციების ფინანსების გამჭირვალობის უზრუნველყოფა აღმატებულ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს.“ არჩილ გორდულაძე გამოეხმაურა ევროკომისიის საუბარს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და განაცხადა, რომ „ევროკომისარმა თავს უფლება მისცა, რომ დამოუკიდებელი და მათივე განმარტებით პარტნიორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს დამუქრებოდა... გუშინვე, ისევ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების სახით ვიხილეთ, რომ მთელი სამი წლის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული კამპანია სრული „ბლეფი, „საზოგადოებისთვის თვალეში ნაცრის შეყრა და ქვეყნის გაშავების“ მცდელობა იყო. დღეს კი ვხედავთ, რომ დამუქიდებელი ქვეყნის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებს შეიძლება დაემუქრონ კანონის მიღებისთვის. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს და იმედია, აღარც არასდროს ვიხილავთ... როგორც ჩანს, ვერ გაუგიათ, რომ ქართველებთან მუქარა არ ჭრის, პირიქით, გვადლიერებს და მოტივაციას გვმატებს, კიდევ უფრო მეტი შემართებით ვაკეთოთ საქმე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეხება და დავიცვათ ჩვენი მომავალი. უცხოეთში მოგზაურობის აკრძალვით შანტაჟი კი არა, სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მუქარა არ გვახევიანებს უკან, კვლავ გავაგრძელებთ ჩვენი

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას და ღირსეული ნაბიჯებით ნამდვილი ევროპული ოჯახისკენ სიარულს“.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა: „ჩვენ, ორ დღეში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, თუმცა, 106 წლის წინ, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მაშინდელ პარლამენტს ან ეროვნულ კრებას რომ ასეთი გამჭირვალობის შესახებ კანონი მიეღო, ბოლშევიკებს არ მიეცემოდათ ოკუპაციის განხორციელების საშუალება და ჩვენ არც დამოუკიდებლობას დავკარგავდით და არც ტერიტორიებს. ახლა, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 33 წელი გავიდა, დღეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა და აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი სწორედ გამჭირვალობის კანონზე გადის იმიტომ, რომ დღეს, „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ არ მიეცეს საშუალება, კვლავ დაკარგოს ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა, კვლავ დაკარგოს დამატებითი ტერიტორიები და რუსული ჯარი, რომელიც, მათი პოლიტიკის დამსახურებითა, გორთან დგას, მერე უკვე დედაქალაქში დადგეს... ჩვენ გველაპარაკება ევროპაზე ეს პოლიტიკური ძალა და 78-ე მუხლის დარღვევაში ადანაშაულებენ იმ ადამიანს, ვინც თავისი ხელით ჩაწერა ეს მუხლი კონსტიტუციაში. ვეკითხები „ნაციონალურ მოძრაობას“ - სააკაშვილმა 30-ჯერ რომ შეცვალა საქართველოს კონსტიტუცია, ერთხელ მაინც, ერთი წინადადება ან ევროკავშირზე, ან ნატოზე რატომ არასოდეს ჩაწერა თუ ეს თქვენი სტრატეგიული მიზანი იყო? ახლა გვითხარით, რომელი ტერიტორია, რამდენი კვადრატული სანტიმეტრი დავკარგეთ მას შემდეგ, რაც ჩვენ ვართ ხელისუფლებაში? გვითხარით, 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გაღებული სისხლით დაკარგულ ტერიტორიებს რატომ დაამატეთ კოდორის ხეობა? რატომ დაამატეთ ახალგორი? რატომ გადაუფორმეთ, ბენდუქიძის ხელით, საქართველოს სტრატეგიული და ენერგეტიკული ობიექტები რუსეთს? ერთი ობიექტი მითხარით, რომელიც ჩვენ რუსეთს გადავეცით, პირიქით, დავიბრუნეთ „ბილანი“ და „თბილისის წყალი“. ნახეთ ინვესტიციები, ნახეთ ეკონომიკური წინსვლა და საით მიგყავს ჩვენ ეს ქვეყანა. ახალგაზრდებს მინდა ვკითხო - ვისგან აპირებთ დაიცვათ ევროპული არჩევანი? ჩვენგან, ვინც ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ, უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა, კანდიდატის სტატუსი მივიღეთ თუ იმ პოლიტიკური ძალისგან, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს მართლა რუსეთში გვაცხოვრებდა?.. დიახ, დღეს არის სუვერენიტეტი ყველაზე მეტად დასაცავი და ბუნებრივია, ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერანაირი სანქციები... დიახ, სწორედ დღეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდის ერთიანობა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კანონის მიღება. დიახ, 28-ში იქნება ვეტო გადალახული. დიახ, 28-ში კანონი იქნება მიღებული და „ბოლშევიკებს და ფაშისტებს“ არ მიეცემათ ამ ქვეყანაში არც სისხლიანი რევოლუციის მოწყობის საშუალება და არც „მეორე ფრონტის“ გახსნის საშუალება“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა ქვეყანაში არსებულ ვითარებას და განაცხადა: „დღეს რა ბედნიერი დღე გაუთენდათ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტებს, როდესაც გაიღვიძეს და ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაიგეს განცხადება, რომ შესაძლოა სანქციები დაუწესოს „ქართულ ოცნებას“ და ხელისუფლებას. მათთვის უბედნიერესი დღეა, შეიძლება ასე ითქვას, თავის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ, ამავდროულად, მინდა ვთქვა, რომ „კოლექტიურმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დღეს გაავრცელა განცხადება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, და მოუწოდებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომ გაემიჯნონ ხელისუფლებას, გადავიდნენ მათ მხარეს და შემდგომ ისინი უშუამდგომლებენ ამერიკელებთან და მათ და მათ ოჯახებს აღარ დაუწესებენ სანქციებს. ეს არის ამ ადამიანების ბუნება - მოღალატეობრივი, რასაც თვითონ იზავდნენ, რასაც გააკეთებდნენ, ამას სთავაზობენ დღეს ქართველ ხალხს და მის წარმომადგენლებს. ეს არის სირცხვილი და მე მინდა საზოგადოებამ ეს ნათლად დაინახოს. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ, საქართველო გაიმტკიცებს თავის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ჩვენ, აუცილებლად, გავხდებით ევროპის ნაწილი“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

4. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

5. „ქ.თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N2ბ-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.154.01.01.066) და ქ.თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N42-ში მდებარე N328 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.328) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.019) და ქ.თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N335 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.335) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N30 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.030) და ქ.თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N42-ში მდებარე N325 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.325) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-ში მდებარე N27 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.394.01.01.027) და ქ.თბილისში, მოსკოვის გამზ.N9გ-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.12.003.170.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.555) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქ.თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.112.02.302) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N39 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.039) ; ქ.თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.12.11.037.115.01.01.064) და ქ. თბილისში, წყლოუკიძის ქ. N15-ში მდებარე ბინა N77 (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.012.158.01.01.077) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N508 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.11.10.010.033.01.01.508); ქ.თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N12 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.008.153.02.01.012) და ქ.თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N308-ში მდებარე N9 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.12.02.020.019.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N305 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.11.10.010.033.01.01.305), ქ.თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N31 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.12.11.037.115.01.01.031), ქ.თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N1ა ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.11.13.002.448.01.01.001ა) და ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N59 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.059) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქ.თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.72.14.014.049.01.01.043); ქ.თბილისში, ოსიპ მანდელშტამის ქ. N2გ-ში მდებარე N148 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.008.155.01.01.148) და ქ.თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N123 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.12.003.170.01.01.123) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქ.თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N77 და N121 ბინების (მშენებარე) (ს/კ. N01.12.12.001.414.01.01.077; N01.12.12.001.414.01.01.121) და ქ.თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.10.10.020.214.01.01.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.10.06.006.217.01.01.033) და ქ.თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N179 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.12.003.170.01.01.179) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.154.01.01.015) და ქ.თბილისში, ვიქტორ კუპრადის ქ. N34-ში მდებარე N74 ბინის

(მშენებარე) (ს/კ. N01.19.36.015.031.01.01.074) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, თ.ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანი) კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.001.004.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში, (ს/კ. 01.10.13.015.112.02.254) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლე-ებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ. 405653859), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.009.023, ნაკვეთი N009/023) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ფალიაშვილის 11“-ის (ს/ნ. 404646111) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა N75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქუჩის შესახვევი N14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, N14; ქალაქი თბილისი, ქუჩა



გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 და N3 სახლების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.002.052, ფართობი - 7 149 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი თბილისი, ვ.ივერიელის (საბადურის) ქ.N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.046, ფართობი - 2348 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მ/რ, კორპუსი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.018.006, ფართობი - 1953 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N4; მარშალ გელოვანის გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.465, ფართობი - 3938 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-14 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.617, ფართობი - 5000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რევავ ურიდიას ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.12.12.034.005, ფართობი - 789 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის / ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რამაზ შენგელიას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448 , ფართობი - 1444 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

33. „მისამართზე - ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N31 (საკადასტრო კოდი: 01.14.14.012.043) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „დომუსის ხეების“ (ს/ნ. 405127937) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: არჩილ გორდულაძე

34. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ. 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ. 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ. 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: არჩილ გორდულაძე

35. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

36. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა/გიორგი გურამიშვილის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N1ა; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N1ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.019.137; N01.18.06.019.062; N01.18.06.019.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

37. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, ვეტერანთა და შრომის პარკის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: NN01.12.11.026.010 01.12.11.026.053 01.12.11.026.025 01.12.11.026.027 01.12.11.026.055 01.12.11.026.054 01.12.11.026.013 01.12.11.026.016 01.12.11.026.044 01.12.11.026.029 1.12.11.026.024 01.12.11.026.008 01.12.11.026.014 1.12.11.026.009 01.12.11.026.007 01.12.11.026.002 01.12.11.026.005 01.12.11.026.004 01.12.11.026.030 01.12.11.026.026 01.12.11.026.028 01.12.11.026.012 01.12.11.026.015 01.12.11.026.051 01.12.11.026.050 01.12.11.026.038 01.12.11.026.023 01.12.11.026.056 01.12.11.026.017 01.12.11.026.037 01.12.11.026.036 01.12.11.026.043 01.12.11.026.045 01.12.11.026.046 01.12.11.026.047 01.12.11.026.048 01.12.11.026.049 01.12.11.026.034 01.12.11.026.040 01.12.11.026.041 01.12.11.026.032 01.12.11.026.039 01.12.11.026.052) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

38. „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი N8, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევში, N23, N15, N19; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევში, N14, N16, N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.675; N72.16.23.674; N72.16.15.810; N72.16.23.093; N72.16.15.747; N72.16.23.094; N72.16.15.698; N72.16.15.795; N72.16.15.780; N72.16.23.677; N72.16.23.676; N72.16.23.678) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

39. „ქალაქ თბილისში, ბობ უოლმის I შესახვევი, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.159) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

40. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, ამაღლებას ქუჩა, N3ბ, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.98.029; N81.02.98.027; N81.02.99.522; N81.02.95.011; N81.02.98.133; N81.02.95.286) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

41. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიდის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, N2 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.053; N01.10.07.007.052; N01.10.07.007.051; N01.10.07.007.050) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N296 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

42. „ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

43. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.93.071; N81.02.01.403; N81.02.18.843; N81.02.01.398; N81.02.01.402; N81.02.01.381; N81.02.94.644; N81.02.94.643; N81.02.95.608; N81.02.95.381; N81.02.93.246; N81.02.17.242; N81.02.18.681; N81.02.01.340; N81.02.00.628; N81.02.95.936; N81.02.17.259; N81.02.01.463; N81.02.01.767; N81.02.01.464; N81.02.17.162; N81.02.01.397; N81.02.97.279; N81.02.95.550; N81.02.21.610; N81.02.01.399) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

44. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.572; N81.02.13.762; N81.02.19.158; N81.02.13.835; N81.02.13.551; N81.02.19.722; N81.02.19.135; N81.02.19.571; N81.02.96.930; N81.02.97.489; N81.02.96.605; N81.02.95.072; N81.02.19.569; N81.02.19.157; N01.81.02.280.012; N01.81.02.200.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

45. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ. 07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N678 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

46. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიდომში, მე-3 მიკრორაიონში, ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 26 დეკემბრის N01/1876 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

47. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N23 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

48. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ ზემო ლისში „ბუღის მიწა“, ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

49. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.743; N72.16.15.832; N72.16.15.695; N72.16.15.696; N72.16.23.885; N72.16.23.892; N72.16.15.854; N72.16.15.836) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

50. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

51. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

52. „ქალაქ თბილისში, ნამალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

53. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებული უსახელო სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

54. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევისთვის ქორეოგრაფის რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

55. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლების, მამა-შვილის, ზურაბ და მამუკა ბერძენების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

56. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

57. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

58. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თბინვალას დასახლებაში, სოლომონ ავალიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

59. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

60. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის და გრიგოლ ხანძთელის I ჩიხისთვის სხვიტორის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

61. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩისთვის გრიგოლ ხანძთელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

62. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდლოში, დავით ბატონიშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის დავით ბატონიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

63. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედნისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

64. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

65. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიდლოში, პეტრე იბერის შესახვევის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

66. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ივანე კაჭარავას ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წესს ემატება რამდენიმე პუნქტი, რომელთა თანახმად: ყალიბდება ა(ა)იპ-ს ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდის დეფინიცია, რომელიც წარმოადგენს თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ფარგლებში არანაკლებ სამკაცრიან გუნდს, რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს მამასახლისი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი. გუნდის მოვალეობას მიეკუთვნება თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მართვაში არსებულ სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახების ცხოვრების ფაქტის დადასტურება; განისაზღვრება გუნდის მიერ ოჯახის საცხოვრისში ცხოვრების ფაქტის დასადასტურებლად განსახორციელებელი შემოწმების პერიოდულობა, რაც მოიცავს 45 დღეს; ა(ა)იპ-ს ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, მინიმუმ სამი თვის განმავლობაში, საცხოვრისში ოჯახის არცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ინფორმაციას, ოქმისა და ვიდეოჩანაწერის სახით, აწვდის სამსახურს, რომლის საფუძველზეც მზადდება მთავრობის განკარგულება უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რომლის საფუძველზეც სამსახური ოჯახს უწყვეტს უსახლკაროს სტატუსს. ცვლილება შედის ასევე, უსახლკაროდ რეგისტრაციის განაცხადის ფორმებში, რაც განაპირობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიღებამ, რომელმაც შეცვალა პერსონალური მონაცემების დამუშავების მომსახურებელი ნორმები, მათ შორის, განსხვავებულად ჩამოაყალიბა მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიმდინარეობის დროს დადგენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებები არის საჭირო და დროული, რათა პროგრამამ იმუშაოს გამართულად და სრულფასოვნად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია ორი მიზეზით: წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია და 18 მეტრიანი ავტობუსების დამატება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში, რომლების ოთხ მარშრუტზე გაშვების შედეგად გამოთავისუფლებული ავტობუსები, მგზავრთნაკადის რაოდენობიდან გამომდინარე, დაემატა ოცდაოთხ სხვა მარშრუტს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები, რომლებიც მოიცავს ე.წ. მიკროავტობუსების შვიდ მარშრუტს, გამოწვეულია წერეთლის გამზირის რეაბილიტაციით, კერძოდ, დიდუბის მეტროსთან მდებარე წრეზე და დინამოს სტადიონთან შეიცვალა საგზაო მოძრაობის სქემა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ეხება დამსაქმებლების და სკოლის ავტობუსებს, რომლებიც დასაქმებულების და სკოლის მოსწავლეების გადაყვანის მარშრუტს ათანხმებენ მუნიციპალიტეტთან. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია „ავერსი ფარმას“, „ლილო 1“-ის და „ბაქსვუდის“ სკოლის ავტობუსების მარშრუტები. აქვე აღნიშნა, რომ „ბაქსვუდის“ სკოლას ემსახურება დაახლოებით 20-მდე ავტობუსი, რომლებსაც გარკვეულ მარშრუტებზე აქვთ ავტობუსის ზოლში გადაადგილების უფლება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქ.თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ.N2ბ-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.154.01.01.066) და ქ.თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N42-ში მდებარე N328 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.328) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და კიდევ რამდენიმე საკითხი ეხება ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, სადაც დაზარალებულია სამოცდახუთი ოჯახი. იქიდან გამომდინარე, რომ, დღეის მდგომარეობით, ამ ტერიტორიის გარშემო ძალიან ბევრი კორპუსია, მშენებლობის დასრულება მიზანშეწონილი არ არის და შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა კერძო მესაკუთრეებს შესთავაზა ფართების მონაცვლეობა. მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია თერთმეტი ოჯახი, რომლებსაც საკუთრებაში არსებული ფართების სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტი გადასცემს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილია ნონა

კემულარიას და მისი ოჯახის თანასაკუთრებაში არსებული ფართების მონაცვლეობა, რომლის ფარგლებშიც მათ გადაეცემათ ორი ფართი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.019) და ქ.თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N335 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.335) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საკითხი ეხება ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია ორი ფართის გადაცემა კერძო მესაკუთრისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N30 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.030) და ქ.თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N42-ში მდებარე N325 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.325) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საკითხი ეხება ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია ორი ფართის გადაცემა მანანა მეტრეველისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქ.თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-ში მდებარე N27 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.394.01.01.027) და ქ.თბილისში, მოსკოვის გამზ.N9გ-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.12.003.170.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საკითხი ეხება ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია ორი ფართის გადაცემა თენგიზ გიორგამისთვის.



საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კოროპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.555) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 23 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქ.თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.112.02.302) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილებას. კერძოდ, კომისიის ფარგლებში, განსაზღვრულია ოცი ადამიანი, რომლებსაც მუნიციპალიტეტმა უნდა გადაუნაწილოს შარტავას ქ. N1-სა და N3-ში მდებარე ფართები. თხუთმეტი ოჯახისთვის უკვე გადაცემულია ფართები. მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია კიდევ ორი ოჯახისთვის ფართების გადაცემა, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფართი გადაეცემა ცოტნე ღუნდუას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქ.თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N39 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.07.024.079.01.01.039) ; ქ.თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.12.11.037.115.01.01.064) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე ბინა N77 (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.012.158.01.01.077) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საკითხი ეხება ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია სამი ფართის გადაცემა მერაბ თევზაძისთვის.

